წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ორშაბათი დეკემბრის 25—(7)

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია და კანტორა იმყოფება ოფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და ხალამოს 5—8 საათამდის, ყოველ-უკმე დღეების გარდა.

№ 207 ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 207

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთის ფასი
თვიურათ
ოთხი თვით
ცალკე ნომერი
ბანცხადება
პირველ გვერდზე ...
უკანასკნელ გვერ...
ქალაქ გარდან ...
სასულიერო ...
ემატება სამი ...
8 მ. 1 საათის ...

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის გუბერნიის და ქ. ქუთაისის კომიტეტები და ამავე პარტიის მუშათა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ მძიმე ავთმყოფობის შემდეგ ქალაქ თბილისში კვირას, 17 დეკემბერს, გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი, თავდადებული პარტიული მუშაკი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე

კიტა აბაშიძე.

ქიუთურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს კანტორის მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი თანამოსამსახურის ქიუთურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის და საზოგადო მოღვაწის

კიტა ივანე გიორგის ძის აბაშიძის

გარდაცვალების.

კვირას, 17 დეკემბერს, ლამით ქ. თბილისში გადაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი და პუბლიცისტი

კიტა ივანე გიორგის ძე აბაშიძე

[illegible] საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა საზოგადოების წევრთა და ქართულ საზოგადოებას. დაკრძალვის დღე და ადგილი გამოცხადდება ცალკე.

კვირას, 17 დეკემბერს, ღამით გარდაიცვალა ქ. თბილისში ქიუთურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი საზოგადო მოღვაწე

კიტა ივანე გიორგის ძე აბაშიძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებს ქიუთურის შავი ქვის მრეწველებს და ქართულ საზოგადოებას შავი ქვის მრეწველთა საბჭო.

კვირას, 17 დეკემბერს, ღამით ქ. თბილისში გადაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, პუბლიცისტი და ძვირფასი მამწვალებელი

კიტა ივანე გიორგის ძე აბაშიძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის მუშათა საბჭო ამხანაგებს და ქართულ საზოგადოებას. დაკრძალვის დღე და ადგილი გამოცხადდება ცალკე.

მარეელის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას გარდაცვლებას დიდი ხნიდან ბანკის რწმუნებულის, ცნობილის საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის და კრიტიკოსის

ივანე კიტა გიორგის ძის აბაშიძისას.

ქვრივი ნინო ლეონის ასული და ვასილ მიხეილის ძე ქოქობერი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 26 დეკემბერს, დღით საშუადამის, დილის 10 საათზე, საფიქრიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილების მეოთხეთ. ეს დღე პირველის ძვირფასი მეუღლისა ბოლო მეორის საყვარელ ბაბის

მიხეილ ათანასეს ძის ქოქობერის

სულის მოსახსენებლად.

განცხადება.

ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ 20 დეკემბრიდან

ხორბალი

არავის აღარ მიეცემა.

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

მოქალაქეთა საყურადღებოთ.

ქალაქის სასურსათო გამგეობა დამეჯდოთებით სთხოვს მოქალაქეთ დროზე მიიღონ პურისა და შაქრის ბარათები, ვისაც ბარათები დროზე არ ექნება მიღებული, არავითარ შემთხვევაში პური და შაქარი არ მიეცემა.

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

ახალი დეკრეტი.

ამ დღეებში გამოცხადდა იმიერ კავკასიის დროებითი მთავრობის განკარგულება მიწების ჩამორთმევის შესახებ. ეს განკარგულება დეკრეტის სახით მოგვლინა საზოგადოებას. დეკრეტი დღეს ძვირფერ საინტერესო მოვლენა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ყოველ ასეთ შემთხვევას საზოგადოება დიდის ყურადღებით შეხვდებოდა. მარა ეს ყველა დეკრეტება ხალხი დაიმტერესა, ნამეტურ ამ ეკონომიკურ ...

[illegible] დეკრეტი [illegible] ერა, რადგან მთავრობა სოციალისტურია და სულ გზით სიარული მას არ [illegible] ზოგი ამბობს, ასეთი დეკრეტი მოულოდნელია და საკვირველიც, რადგან დროთა ვითარებამ და საფდეისო საჭიროებამ სრულებით ...ამ ... მოითხოვდა. მართალია, [illegible] ... ბაზარზე ... ფასი ... ერი ... ეტერეს, მაშინ პატრონი იმაზე არ ზრუნავს, ოთახებში ნივთების დალაგება როგორ სდგია. სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, ამ დეკრეტმა ბევრი გაკვირვება დამადა. ზოგი იმედით აივსო, რომ მიწას მომცემენ, ზოგი შიშმა ...ეიპყრო, მამულებს წაართმევენო, ზოგი იმას სწუხს, ასეთი დეკრეტი საკმაოდ აყვავებულ ცხოვრებას კიდევ უფრო აბნეულს და ...ეთის რევოლუციას საქართველოს რევოლუციის დაუმატებსო. თვით დეკრეტიც ვერავინ გიგია; ზოგს დეკრეტი კანონი ეგონია, ზოგს ბრძანება, ზოგს პარტიული მისწრაფების გამომხეულება და სხვადასხვა....

მეტად შეუფერებელი დროს გამოვიდა ეს განკარგულება და ალბათ ...ეფერებელი სახელითაც ინდოლება!

ეს დეკრეტი კანონი არ არის, კანონს უნდა ჰქონდეს ორი თვისება—იგი უნდა ი

გულდათუთქულნი მშობლები ქრისტინა გელოვანის ასული და ნიკოლოზ (კოლია) ელადმერის ძე ჩიქოვანები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უძვირფასესი ქალიშვილის, მეოთხე კლასის მოწაფის

ქეთევანის (ქეთიკო)

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (კაბაოვის ჩასახვევი) და დასაფლავება დანიშნულია კვირას 24 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

პატრონობა: უფულოდ შეუძლებელია, არც ის, რომ ქართველი ხალხის დიდი უმეტესობა სოციალიზაციის წინააღმდეგია და სხ. მაშასადამე, ხსენებული დეკრეტი —ბოლშევიკური ტაქტიკის ნაყოფია.

ამას წანეთ ქუთაისის სმქალაქო საბჭოში ერთმა ესერმა განაცხადა: ამბერ-კავკასიის კომისარიატს მთავრობად არ აღიარებთ, რადგან მის წევრთა შორის არასოციალისტებიც არიანო. თავდაცვის კომიტეტში ყოყმანობენ, შეუშვან თუ არა არა-სოციალისტები. ქუთაისის მუშათა და საოდათთა საბჭოში არ დაუშვეს ექიმთა პროფესიური კავშირის დეპუტატი, როგორც ვითომ „ბურჟუათა“ წარმომადგენელი. რასაკვირველია, ყველგან აქ იმავე ბოლშევიზმმა იჩინა თავი.

დიდი საორგანიზაციო, ეროვნული საქმე გაქვს მოსაწყობი. და ყველა პარტია მოვალეა დროებით მაინც, ვიდრე განსაცდელი თავიდან არ აეცილებინა, უკეთ აგდოს ბოლშევიკური ტაქტიკა და თავისი პოლიტიკა ამ დიდს, საერთოს, ეროვნულ საქმეს შეუსაბამოს და დაუმორჩილოს.

არა ბოლშევიზმი. არამედ მიზანშესაბამი ტაქტიკა უნდა იყოს საერთო ლოზუნგი.

ვასილ წერეთელი.

ეროვნული ტრადიცია.

ერის ეროვნული სახელმწიფურ არსებობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს ეროვნული საერ თვით შეგნება. თუ ერს ეროვნული ტრადიცია არა აქვს თუ მას არ გააჩნია საკუთარი სახელმწიფური მყოფელობა ასეთმა ერმა თავის ძალიან კიდეც რომ შექმნას ძლიერი სახელმწიფო, ეს დროული მოვლენა იქნება და დროთა ცვალებადობაში ყალბ მექანიზმზე აგებული სახელმწიფო ისე გაჩერება, როგორც კვამლი. ამას ღაღადებს ისტორია, სპარსთა, ოსმალთა: მონღოლთა, არაბთა და თვით რომაელთა შესახებ. ერთ დროს ესენი მეუფენი სახელმწიფონი იყვნენ თავის ბატონობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოზე სცდილობდენ. შეიცვალა გარეშე პირობები და ესენიც დაემხვენ. სპარსნი ოსმალნი, და მონღოლნი თავის არსებობას ყოველთვის უხეშ ძალაზე, დესპოტობაზე აყალრებდენ. სხვაგვარ კეთილშობლურ ტრადიციას ისინი მოკლებული იყვნენ. სპარსი.ან ოსმალი, როდესაც სალაშქროდ ვისიმე ქვეყნის დასაკავებად წავიდოდა იმ დროს მათი აღფრთოვანება სრულიადაც არ იყო გამოხატველი პატრიოტიზმისა. მას ამოძრავებდა ველური ინსტინქტი.

ეროვნული გრძნობა ხალხში ზშირად აღმოხდომს. მტრის შემოსევის დროს ერის ღიდი უმრავლესობა თავდაცვას იწყებს, რაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ეროვნული გრძნობა ეს უსახო რამ არის. როგორც ზემოთ მოგახსენეთ ერთი თვით არსებობისთვის უსათუოდ საჭიროა ეროვნულია თვით შეგნება, ეროვნული ტრადიციით ზურგ გამაგრებული. არაფერს ნიშნავს ეროვნულ თავისუფლების დამკვიდრება, თუ ხალხში არ სუფევს ეროვნული ვალდებულება და შეგნება.

ალბანეთმა 1912 წ. დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ დღემდის მან ვერ მოახერხა საკუთარ სახელმწიფოს მოწყობა. დაწინაურებულმა ერებმა კულტურის დახმარებით შექმნეს მტკიცე ეროვნული ტრადიცია. ჩეხმა, ფინმა და პოლონელმა სულის, ნამდვილის შეგნებით იცის, თვრა არის სამშობლო და რას ავალებს თითოეულ მამულიშვილს თავის სახელმწიფოს ინტერესი. ეროვნულმა ტრადიციამ ადორძინნ ეტალეთი.

აქედან ცხადია, რომ თვინიერ ტრადიციისა, ერის მკვიდრი არსებობა ამსურია.

საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებს. წარსულში საქართველომ განიცადა სახელმწიფური ცხოვრება, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეროვნულ ტრადიციის გამოხატავდა თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. დღეს ერის მედროშეთ, მის მესაჭეთ ფართე დემოკრატია გამოდის. მაშასადამე საკუთარი ტრადიციით ფართე მასა უნდა-აღიარას.

ტრადიცია ჯარში, ტრადიცია მმართველობაში, ტრადიცია სასწავლებლებში და ტრადიცია ვაჭრობა-მრეწველობაში, ტრადიცია შრომელთა შორის, ან რა უზრუნველჰყოფს საქართველოს ეროვნულ სახელმწიფურ ფუძის სიმაგრეს.

თანამედროვე კულტუროსანი სახელმწიფოები, როგორც ზემოთ ვსთქვით, კულტურისავე წყალობით აღრცელებენ ხალხში ეროვნულ შეგნებას და ვალდებულებას.

საქართველოში ეროვნულ თვით-შეგნების და ეროვნულ სახელმწიფოს მოწყობის იდეის პრაპაგანდას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენში მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა წიგნაკების გამოცემით, თუ საბალხო ლექციების კითხვით, უნდა გაავრცელონ ეს იდეა, რადგან თავი და თავი ეს არის და ყველაფერი მერე მასზეა დამოკიდებული.

ეროვნულმა საბჭომ პირველმა უნდა შექმნას სახელმწიფური ტრადიციის საფუძველი და თავის ავტორიტეტულის მოქმედებით ხელი შეუწყოს მის საყოველთაოდ ხალხში ჩნერგვას.

ი. დიდიძე.

უკულმართი წაგხედურობა.

მონობის დროს, სხვათა ბატონობის ხანაში ჩვენს ხალხს მრავალი უკულმართი ჩვეულება შემოეთესია, ჩვეულება, რომელსაც ჩვენში არავითარი გასაძრთლებელი საბუთი არც ჰქონია და არც აქვს.

ასეთი უკულმართობა პირველად ქალაქებში იკიდებს ფეხს და აქედან სოფლებსაც ედება ეს მავნებელი, განმაადგურებელი და ზშირად ეროვნული სიმდიდრის გამფლანგველი სენი.

ამ ეამად სრულიად საქმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი უკულმართობა, როგორც არის შობის ხის გამართვა ბავშვებისათვის.

სადაურია ეს ჩვეულება და ვისთვის იყო საჭირო ამ ჩვეულების ჩვენში გადმონერგვა?..

გერმანული ჩვეულება, რუსეთში გადატანილი და იქიდან ჩვენში გადმოუკოფიარებული, მართლაც რომ განმანადგურებელ სენად მოგვლინა ჩვენს ტუფოგმთაველს და თვით ხალხსაც.

შეძლებული შობლები თავიანთ პატარებს „შობის ხეს“ უმართავენ, ზეზილ-პიპილებით ამკობენ, ამეტირებენ და ასულელებენ მათ, ყოველად „ეფუფუნარეულ პრანქვა-გრეხას აჩეკენ; მათ ნორჩ სულსა და გულში მედიდურობას და ყოყოჩინობის გამარწმენელი სული იბუდებს!..

ასეთ შშობლებს ეურჩევდი—ჩვენი ქვეყნის კეკლუცი ბუნების წიაღზე აღეზარდოთ თავიანთი შვილები. თავისუფალ საქართველოს ფიზიკურადაც საღნი და უნაკლულო მოქალაქეები ეკრავება!.. მუშები საქართველოში არ უნდა გაეამრავლოთ.

ამათ გვერდით ცხოვრობენ ღარიბ-ღატაკთა შვილები. ესენი მოკლებულნი არიან „შობის ხესა“ და მის ზიზიებსაც! იმადება შური, მტრობა და უნდობლობა.

ზოგიერთი წკოლები და საზოგადოებანი მართავენ ამათვის „შობის ხეს“. გროვდება და ამოოთ იხარჯება ფული. ამ საქმეს ეძღვნეს ქველმოქმედების ხასიათი!

ძრის ასეთი გამათახსირებელი ქველმოქმედება!..

მეორეს მხრით ბიდაეთ ამ საუკეთოო ნაძვის ხეებს. ეს ხომ საქართველოს მთების სამკაულია!.. ეს ხომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა და ბუნების სიუხვეა! მერე როგორ ვუვლით და ვპატრონობთ მას? ნორჩ, ახალგაზდა ორსებას უდროოდ ვსპობთ, ვკლავთ, ვანადგურებთ და ქალაქში ვეზიდებთ, ვიმეორებ, აქაური ძალით ნამწყვდეული ბავშვების გასართობად!

შეუგებელი ლეეხი ვერა ერძნობს იმ საშინელებას, რომელიც მას ტყეების განადგურებით მოელის, ოღონდ ორიოდე გროში აიღოს და ქალაქის გაუმაძღარი მადა დაკმაყოფილოს!...

შეუძლებელია არ შეეჩვენოთ ეს მავნებელი ჩვეულება, ჩვენს ლამაზ ტყეებს რომ ანადგურებს, სპობს და ჯრის სიმდიდრეს ანაგაგებს.

დაღუპული რეჟიმის დროს ჩვენს ჩიგილს ვინ შეისწავლა?

ახლა კი დროა ყურადღება მიეაქციოთ ამასაც— და ესთხოვ, ესთხოვ მუდარებით, მთელის ჩემის ენერგიით, დღევანდელ სახალხო მთავრობას— შეეჰიროს ჩვენი მშვენიერი ტყეების განადგურება და აკრძალოს იგი სამუდამოდ!..

მდაბალ მოქალაქე.

ზავის გარშემო.

ეკონომიური ურთიერთობისათვის.

ამბობენ, რომ პეტროგრადში მოსული მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა წარმომადგენლები აპირობენ ფოსტის მიმოსვლის აღდგენას, და ეკონომიურ ურთიერთობის გაცხოველებას. კერძო ცნობებით დელეგატებს უფრო მიზნები აქვთ. მთ მშვენიერი ბინა მისთვისაზეს „ბრისტოლში“. დელეგაციის ხელმძღვანელმა კორეესპონდენტებს განუცხადა, რომ ის კარგად იცნობს რუსეთს, რადგანაც პეტროგრადში 4 წელიწადი იცხოვრა: სჩივის სიძვირეს და ამბობს, რომ ბერლინში ცხოვრება ძალიან იაფიანო: ის ამათლებს ხმებს გერმანეთის რევოლუციის შესახებ. სხვათა შორის მან სთქვა, რომ რუსეთთან სეპარატიული ზავი რომ ჩამოვიგდოთ, ამერიკასთან და მოკავშირეებთან მაინც ვიოცებთო. ლენინს და ტროცკის სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისათვის მომზადებულ პირებად სთვლიან ჩვენშია.

მოსალოდნელი სურვილი.

ავსტრო-გერმანელ დელეგაციის წევრებმა დეკემბრის 19-ს სთხოვეს, რაათა ნება დართონ ინახულონ რუსეთის სხვა პარტიების წარმომადგენლები; მაგალ. მთ სურთ საუბარი ჩერნოვთან და სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან.

უ ხ ე ი რ ო ბ ა

,,პრავდაში'' გამოცხადებულია, რომ ბრესტში მოლაპარაკების საქმე ვერა ხეირობს. მიზეი გერმანელების იმპერიალისტური გაუმაძღრობა არისო.

გოლშევიკების დიპტატურა.

ტყვე- გერმანელები.

სოციალ-დემოკრატების სოლოკო ყრილობაზე ყოფილმა ბოლშევიკმა სოკოლოვმა განაცხადა: რომდენიმე თვის წინად ცამბირში ტყვე-გერმანელებისგან შესდგა გერმანელთა კორპუსი, რომლის მთავარი შტაბი ქ. კრასნოიარსკში იყო. ამ კორპუსს ხიდები უნდა აეფეთქებინა და პეტროგრადისკენ წასულიყო, როცა აქეთკენ გამოილაშქრებდა გერმანელთა ჯარი. ტყვე-გერმანელების კორპუსმა საკმაო იარაღი შეიძინა კიდეეც. ეხლა პეტროგრადში ამ ეამად აიარაღებენ აქ მყოფ ტყვე-გერმანელებს, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევენ გერმანეთიდან ჩამოსული აფიცრენი. ეს ოფიცრები სასტუმრო „ასტორიაში“ სცხოვრობენ. ამას წინად შეეკიის საელჩომ ტყვე გერმანელებს აცნობა, საშეალება გეძლევათ სამშობლოში დაბრუნდეთო, მაგრამ გერმანელები აქ დარჩნენ.

სოკოლოვის ამ განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობას წევრებზე.

უცხოეთის ელჩები რუსეთში.

პეტროგრადში მყოფ იტალეთის საელჩოს მდივნის მინა დაარბიეს.

საერთოდ უცხოეთთა მდგომარეობა მეტად საშინი შექმნა. ამიტომ საელჩონი საკუთარ რაზმებით იცავენ თავს.

მე-39-ე დივიზია

კავკასიის ფრონტიდან წასული მე-39 დივიზია სად. ტიხორეკიდან ყაზახებს უკან დაუბრუნებიათ.

რომალის დატუსაღება

რუმინეთის ფრონტზე ბოლშევიზების რევოლუციონური კომიტეტი გარეკეს. დაატუსაღეს რამდენიმე ცნობილი ბოლშევიკი, მათ შორის რომალიც.

რბევა.

კოსტრომაში დაარბიეს ღვინის სარდაფი, დამთვრალთა ბრბომ დაარბია მთელი ბაზარი და სროლა ატეხა. ბოლშევიკების ჯარმა ვერ აღადგინა წესიერება. ქუჩებში მავთულის ხლართებია გაბმულნი და სანგრებია გათხრილი.

შ ე თ ქ მ ულ ე ბ ა.

პეტროგრადში აღმოაჩინეს ბოლშევიკების ლიდერების საწინააღმდეგო შეთქმულება.

ბანკ. დირექტ. დატუსაღება.

ვინც გაკვეცეა ვერ მოასწრო რუსეთიდან, ყველა ბანკების დირექტორები დაიჭირეს.

თეატრ. ნაციონალიზაცია.

ელიან თეატრების ნაციონალიზაციის გამოცხადებას.

გერმანეთის საქონელი.

მოკლე ხანში პეტრბურგში მოელიან აუარებელ გერმანულ საქონელს, განსაკუთრებით ფარფლეულობას.

უცნაური დიპლომატია.

ბოლშევიკები პეტრბურგში ეეჭიბს ალარ დანიშნეენ, იმ მოსაზრებით, რომ საიტუმლო არა გვაქვს რაა.

ნიკოლოზ რომანოვის შეშლა.

სიგამომძიებლო მთავრობამ ხელი იგდო ყოფილ დედოფლის აღექსანდრას წერილი, ერთ ყოფილ ფრეილინის მისამართით. ალექსანდრა თავის წერილში სხვათა შორის ამბობს, რომ ნიკოლოზი გამოტეინდა და გაგაგრეულდა. ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს დღევანდელს ამბებს და არც ოენებობს გვერვენ ხედ. ერთად ერთ სანანურად გაუხდია სასახლე ლივადიაში. დიდს ყურადღებას აქცევს ალექსის. წერილებსა. სწერს, მხოლოდ დედას, რომელიც ახლა მორჩა ავადყოფობისაგან და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან გადაიდა. რომანოვების ბავშვები უკვე შეეჩვენენ საქმის გარემოებას. ალექსი გულმოდგინეთ სწავლობს სხვადასხვა საგნებს. ბოლო ხანებში ცხოვრება გაუადვილეს. ალექსანდრეს დიდად ახარებს ზავის ჩამოგდება და ამასთანავე იმედოვნებს, რომ ამით მათი ცხოვრების პირობებიც გამოიცვლება. ყოფილ დედოფალს სურს რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალ გუბერნიაში ცხოვრება.

ჩინელებმა ბოლშევიკები დაამარცხეს.

ხარბინი ჩინელებმა დაიჭირეს და სასტიკად დაამარცხეს ბოლშევიკები.

ბრძოლა ირკუტსკში.

ირკუტსკში საშინელი ბრძოლა რვა დღის განმავლობაში ყოფილა.

მიუწვდომელი სიმხეცე.

ტაშკენტში თვით-გასამართლების მხვეტრალი გახდა თურქესტანის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი ბ. ა. კოროვიჩენკო. გამხეცებულები ბოლშევიკი გასვრილ მომაკვდავ კორვიჩენკოს სახსარ-ან 6 შაურად უშვიდნენ, ნნახველები მომაკვდავს პირში აფურთხებდნენ.

დ ა ძ ვ ო ბ ი ლ ე ბ ა.

დონში ყაზახების წინაალმდეგ მისული ბოლშევიკური ჯარი ყაზახებს დაუძლიბილდნენ.

ვაჭრობა ბერმანეთთან.

რიგის ფრონტზე გერმანეთთან უკვე წესიერი ვაჭრობა გაჩაღდა. სადგურ ხაგველდიდან რიგამდის ავტომობილით წესიერი მიმოსვლა დაიწყო. ავტომობილებით რიგაში ნედლი მასალა შეაქვთ. არა ნაკლებ ზიდავენ სურსათსაც. სამაგიეროდ რიგიდან ზეგეეოლდში ქიმიური ნაწარი. მოგნი სხვადასხვა იარაღი და ფეხსაცმელი შემოაქვთ. რიგაში ფეხსაცმელი ეტ-ტად იაფად ფასობს. წყვილს 10—15 მანეთად ყიდულობენ.

რუსული მანეთი.

მანეთის ფასი თანდათან ეცემა. 10 გირვანქა სტერლინგი 370 მანეთად ფასობს, ფინლიანდიის 100 მარკა—103 მანეთი.

ეროვნული კითხვა.

რადა და ევროპის სახელმწიფონი.

რადამ აცნობა ევროპის სახელმწიფოებს, —უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ამიტომ მასთან ცალკე უნდა იქონიოთ ურთიერთობაო.

ყაზახები და უკრაინა.

ფრონტიდან კიევში დაბრუნებულმა ყაზახებმა განაცხადეს, რომ ისინი იქ დარჩებიან უკრაინის დასაცავად.

შავი ზღვის ფლოტი.

იანვრის დამლევს შავი ზღვის მთელი ფლოტი უკრაინის ხელში გადავა.

უკრაინის სახელმწიფო.

უკრაინელები თავის შემდეგ პირობებს უყენებენ ავსტრია-ჰუნგრეთს. ავსტრო-ჰუნგრეთმა რეფერენდუმის გზით, ერთი თვით-გამორკვევის საფუძველზედ, ნება დართოს, რათა ყველა ის ადგილები, რომელიც იმყოფება ავსტრია-ჰუნგრეთში და დასახლებულია უკრაინელებითა და მათი მონათესავე ხალხებით, შემოუერთდეს უკრაინას. ზემოხსენებული ოლქები შემოერთებულ იქნება თანხმობა მოსახლეობის განცხადებისა. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობის ჩვენებით, უკრაინა შეადგენს ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომლის უფლებაც იფარგლება უკრაინის დამოუკიდებელ ეკონომიურ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

წვეული იყო ქუთაისის გარნიზონის უფროსი გენერალ მაიორი არაკელანიძე და გუბერნიის კომისარი გიორგაძე.

თავდასხმა. 22 დეკემბერს საღამოს 9 საათზე ფერმის ქუჩაზე 20 შეარაღებული ჯარის კაცებს ტანსაცმელში გადაცმული ყაჩაღები თავს დაესხენ ლუარსაბ კაპანაძეს. რომელთაც წაართვეს 280 მანეთი. მილიციამ დროზე გაიგო და იქეთ გაეშვნა, მაგრამ ყაჩაღებმა სროლა ატეხეს და თავს უშველეს, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

1 ქართული სათადარიგო ქვეითი პოლკი. ქუთაისში არსებული 115 სათადარიგო ქვეითი პოლკი გადაკეთდა პირველ ქართულ სათადარიგო პოლკად. ამ პოლკის უფროსად დანიშნა პოლკოვნიკი გარდაფხაძე.

ტყიბულის სასურსათო კომიტეტში საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ტყიბულიდან ამბავი მოუვიდა, რომ ტყიბულის სასურსათო კომიტეტს დაუკავებია ორი ვაგონი სიმინდი, რომელიც გაგზავნილი იყო რაჭის მაზრის საჭიროებისათვის.

10 წლის იუბილე. 21 ამ თვეს, შესდგა ქუთაისის გუბ. ლარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის წევრთა კრება ე. ნ. ხეჩინოვის თ-ვმჯდომარეობით და გადაწყდა.

1) ტრადიციულ სადამოს ნაცვლად 14 იანვარს ქალაქის თეატრში გამართოს **„საიუბილეო დილა“**, რადგანაც ამ საზოგადოებას უსრულდება არსებობის ათი წელიწადი.

ამ დილაზე მოხსენებას წაიკითხავენ ა) **ია ეკალაძე.** „ქართველი სტუდენტობა რუსეთში ძველად და ახლად“ ბ) **ტ. მარგველაშვილი** ქართველი სტუდენტობა საზღვარ გარეთ.

2) შეგროვდეს ქუთაისის ქველმოქმედთა შორის წევრილი სტუდენტების სასარგებლოდ, დაწერილებით შემდეგ.

ქურდობა 20 დეკემბერს ღამით რესპუბლიკის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გაქურდეს კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი გედეონ წერეთელი.

რბევა. კავკასიის ფრონტიდან წამოსული ჯარები არბევენ, სადაც კი თავს ამოჩყოფენ. დაარბიეს ტრაპეზუნდი, პატარა, ...ეფა, ...ეფა, (მიწასთან ...ერეულა, ...) 6000 ...ცხენი და 6000 რქოსანი მსხვილი პირუტყვი.

ლოთობის წინააღმდეგ. ამ. კავკ. კომისარიატმა განკარგულება მოახდინა, რათა სასტიკი ზომები იქნას მიღებული ამ, კავკ. რაინის გზებზე მაგარი სასმელების გაყიდვის წინააღმდეგ.

„ალიონელები“-ს ბრძოლა. 27 დეკემბერს თბილისში ქართულ კლუბში მოხდება „ალიონი“-ს ჯვუფის წარმომადგენლთა ბრძოლა.

უკრაინლების ნოტა. ამიერ კავკასიის კომისარიატმა უკრაინის რადას მიერ ნოტა მიიღო, კითხვა შესახებ „იმისა, რათა რუსეთში ახლად შემდგარ რუსეთ-ბლიკებიდან ფედერატიული შტატი შეიქმნას.

ბანკის დახურვა. ფულის ნიშნების უქონლობის გამო დაიხურა სახელმწიფო ბანკის ბაკოს განყოფილება. იგი ალბათ იმოქმედებს, როდესაც საქმე გამოსწორდება.

ქარხნის დახურვა. ძანზულის (ბათომის ოლქი) სპილენძის სამრეწველო ქარხანა დაიხურა და მუშები დათხოვნილ იქმნა.

სამარხვო ზეთი. საოლქო სასურსათო კომიტეტი ატყობინებს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს რომ ინგრისათვის ქუთ. კომიტეტს ქ. ბაკიტრინოდარიდან დათმობილი აქვს 4 ვაგონი სამარხვო ზეთი. რადგანაც სასურსათო კომიტეტს ამ ზეთის მოტანა არ შეუძლია, აცხადებს ეკრძო ვაჭრთა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურვილი ექნება ამ ზეთის მოტანის, მიეკიმთ. შესაფერი მოწმობები, მხოლოდ უნდა წარადგინონ კომიტეტში ამ ზეთის ფასი 72,000 მანეთი.

წყალ-გაღმა უბნის მცხოვრებთა საყურადღებოდ 1 წყალ-გაღმა უბნის სასურსათო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მოქალაქე მომავალი წლის პურისა და ბაჭრის ბარათები 1-ელ ნიგრამდი სახლში დაურიგდებათ.

უკმაყოფილება. პილენკონიდან (ბაკი ზღვის გუბერნია) ამიერ კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ პილენკოვა ბაკი ზღვის გუბერნიას გამოაკლეს და ქუთაისს ბოლოს შეეერთეს.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლე ილია ბერძენიძე პუშენისა და ალექსანდრეს ქუჩის შუა დაკარგა საფულე, რომელშიც იყო ფული. **გიმნაზიიდან** მოცემული პასპორტი პარტიული მოწმობა და სხვა წვრილმანი ანგარიშის ქაღალდები **შინახელ** ვსთხოვ ფული თითონ დაიტოვოს ხოლო სახეთის ქაღალდები მოიტანოს სოც. რევოლუციონერის“ რედაქციაშ ან **“ძრობის“** სტამბაში.

ქალთა საგუბერნიო კონფერენცია ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია **დანიშნულია 27** დეკემბერს სალამოს **6** საათზე წმინდა ნინოს სასწავლებლის **დარბაზში.**

თბილისი.

ზურგის ჯარის საქციელი. ფრონტიდან მომავალი დაღლილ ჯარების გასაგზავნად სამშობლოში მატარებლებს გზაზეს სარაყამში კავკავის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი, მაგრამ გზაზე (გუბაბა, ერევანსა და ყარსში) ვაგონებს იტვირთავ ზურგის ჯარისაკაცები, თითონ სხდებიან შიგ და რუსეთისაკენ მიეგზავრებიან. ამის გამო სარაყამიშში რამდენიმ ათი ათასი ჯარისკაცი შეგროვდა.

— **ანდრანიკას დაჯილდოვება.** სომხების ეროვნული ბანკოილ სახალხო გმირს პრაპორჩიკ ანდრანიკას ებოძა რუსის გენერალ მაიორობა, წმ. ანნას და ვლადიმერის ორდენები ბანტებით. ამისთანავე დანიშნა დივიზიის უფროსად.

— **სომხების ეროვნული ჯარი.** სომხების ეროვნული სბჭო ყველა მოსწავლე სომხებისაგან რაზმებს აგდენს.

— **სომეხ მასწავლებელთა დადგენილება.** დეკემბრის 19-ს სომხის მასწავლებლებმა დადგინეს: სამი დღის განმავლობაში ყველანი ჩაეწერონ ჯარის კაცებად და სამძიოლველად წავიდნენ. იმავე დღეს სომხის ქალებმა დადგინეს: მამაკაცები არც ერთი არ დარჩეს თბილისში ეკრძი საქმეებზე, ყველანი სამშობლოს დასაცავად გაეშურონ; მამაკაცების საქმეების შესრულებას ანტორებში თუ დაწყებულებებში ქალები კისრულობენ.

— **ფულის გადადება.** კომისარიატმა საოლქო ეკონტრიდან შეთანხმებით დადგინა, ვადასცეს 1.400,000 მანეთი ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის მიგსცემად დღესასწაულების წინ. თითო კაცს მიეცემა 500 მანეთი.

— **ტრანსპორტის მოწესრიგება.** კომისარიატი საგანგებო კომისიას გზაზეს ეკატერინოდარში, მას დავალებული აქვს მოაწესრიგოს ტრანსპორტის საქმე შავზღვაზე ნოკასიიკ-ტუფასიდან ფოთ-ბათომამდე. კომისიაში შედიან: ბ-ნნი ფრანჩჩინი, ბულგაკოვი და სერგეევი.

— **კრედიტის გახსნა შავი ქვის მრეწველთათვის.** კომისარიატმა დაადგინა, **60.000** მან. კრედიტი გაუხსნას შავი ქვის მრეწველთა სბჭოს

საქართველოს ეროვნული საბჭო.

დეკემბრის 19-ს სბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეკრებლმა იქონია ქართველ უნივერსიტეტის ფულით დახმარების შესახებ და ამ საქმის გამორკვევა მიანდო ქონებათა სექციის გამგეს ბ-ნ გ. გვაზაკას **სხვა** სექციებთან შეთანხმებით.

სანამ ადიანნო საქართველოს საქმეთა სექციის გამგის თანამშრომლებთან კომიტეტმა დაამტკიცა ექ ი. გომართელი და ძამედ ბეგი ამბაშიძე.

სექციებს ნებადართო კომიტეტმა მოიწვიონ თავიანთთვის მდივანი და საქმის მწარმოებელი.

ეროვნულ სბჭოს ბიბლიოთეკის მოწყობის პროექტის შედგენა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა ბ-ნ ს. საყვარელიძეს.

კიტა აბაშიძის გარდაცვალების ამბავი აღმასრულებელმა კომიტეტმა ფეხზე ადგომით მოისმინა. შემდეგ კომიტეტმა დადგინა, სამძიმარი გამოუცხადოს მიცვალებულის ქირისუფალს და მთელი შემადგენლობით დაესწროს ცხედრის დაკრძალვას.

კომიტეტმა მოისმინა შუამდგომლობა დეკანოზ გიორგიანისა, რომელიც რამდენიმე ხნის წინად ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის განკარგულებით დატუსალებულ იქნა. გიორგიანეს განთავისუფლებას თხოულობს. რადგან მის დატუ-

აპაპის ახლად აღ-
მოჩენილი ლაკი.

დღეიდან ჩემი სტუდარი
სულთა მხუთავი იქმნება!. —
უნდა უკმინ საკმეი
სანთელიც მისთვის იქმნება!.—

—

მომიახლოვდა სიბერე,
ვინ რა მძიმე სენია!..
სიბნელითან მინაზლაურებს
აქ რაც ნათელი მფენია.

—

მივალ სად მივალ არ ვიცი!
საიდან მოვალ არც ისა
მიწისაკენ ვარ ცისაკენ,
არც მიწისა ვარ არც ცისა..

—

ამიყოლია.. ავადვი
ამ სოფლის ელა-მელასა!
თავი ამირან მეგონა
ულონო ჭიანჭველასა.

—

დღეს მიეხვდი, ბაგრამ რადა დროს?
სოფელი მატყუარია
იმისმა ფერადოვნებამ
ჩემი გონება არია.

—

ყველა ტყუელი ყოფილა,
რაც კი კაცს მოუგონია!
ამ სოფელს მხოლოდ უტყუვრად
თვისი კანონი ქონია.

—

ჯერ ალმაალმა აპსველი
უნდა დაუყვეს დამართსა
და უკუღმართი სიბერე
სკვლის სიჭაბუკს წამართსა.

—

რომ სიყმაწვილემ იცოდეს
სიბერე თუ რა ზნელია,
არ გაუშვებდა რასაც კი!
მიუწვდებოდა ხელია,

—

ეს ლაკი რომ ნამდვილ დედნიდან არის გადმოდებული, ამას ვამოწმებ განსვენებული მგოსნის აკაკის ნების ალმასრულებელი **კოტე ბერეულიშვილი.**

საკრებულოში არავითარი წილი არ უდგეს საქართველოს ეროვნულ სბჭოს, აღმასრულებელმა კომიტეტმა დადგინა, შუამდგომლობა დეკანოზისა გაუგზავნოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

ქართული ჯარის გარშემო.

(ქართ. სიბ. კავშირის კრება).

22 **დეკემბერს ქართველთა** სამხედრო კავშირის ქუთაისის **განყოფილებამ** მოიწვია ყველა პარტიები, რეფერენციების და სხვა რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლების კრება. **კრებას** დაესწრო ავრეთვე ქუთაისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი **“არაკელანიძე, ქალაქის** კომენდანტი **შტაბს კაპიტანი—ზაშპერინი** **და** გუბერნიის კომისარი გიორგაძე.

კრების თავმჯდომარედ **ერთხმად** ირჩევენ გ.ზ. კომისარს **გიორგაძეს, მდივნად** ოფიც. **გაჩეჩილაძეს.**

გასარჩევი იყო:

1) ეროვნული **ჯარის** შვესება

და 2) ქალაქში **წესიერების** **დაცვა.**

მიუხედავად ამ **წესიერების** **პირველად** **კრებაზე** წაკითხულ იქმნა **დეკანეში, რომელიც** **მიღებულ** **იყო** ბათომიდან.

ბათომის ამბები.

როგორც **დეკანეშიდან** **სჩანს, ბათომს** ნაღმოსნებით **მოდგომია** **რუსის** **ჯარი** **და** **ქალაქისათვის** **წინადადება** **მიუცია**, **თუ** **სახალხო** **კომისრებს** **არ** **დამორჩილებით** **ან** **შემთხვევაში** **მთელ** **ქალაქს** **გავნადგურებთო.**

ბათომის **მუშათა** **საბჭო** **თხოულობს** **რეალურ** **ძალას.** **ბათომში** **ამ** **ჟამად** **ყოფილა** **მხოლოდ** **750** **ქართველი** **ჯარის-კაცები.**

ავრეთვე **დეკეშაში** **ითქვამია**, **რომ** **ჩვენ** **ვეზიანთ** **ჩვენს** **წარმომადგენელსო.**

კრებამ **ამ** **საკითხზე** **ესაუბრა** **და** **დადგინეს:** **მოვუცადოთ** **ბათომიდან** **გამოგზავნილ** **დელეგატს**, **გავიგოთ** **დაწერილებით** **საქმის** **ვითარება** **და** **ზომების** **მიღება** **მიეწოს** **ქუთაისში** **არსებულ** **რევოლუციურ** **ორგანოებს.**

ეროვნული ერთიულების შეგსება.

ამ **კითხვაზე** **მოხსენებას** **აკეთებს** **კავშირის** **წევრი** **შუბლაძე.**

მისი **აზრით** **პირველად** **აუცილებელია** **ჯარში** **დისციპლინის** **აღდგენა**, **თვით** **შენების** **შეტანა** **თუ** **როგორ** **მძიმე** **მომენტში** **ვცხოვრობთ** **და** **როგორი** **განსაცდელი** **მოელის** **ჩვენს** **სამშობლოს**, **ისეთივლებლად** **დაბრუნებულ** **უნდა** **იქმნეს** **ჯარიდან** **გაქცეული** **ჯარის-კაცები** **და** **გაეცალებულ** **უნდა** **იქმნეს** **ეროვნული** **საბჭოს** **ბიჭი** **გამოკვეთო** **მოწოდებები.**

ეს **მოწოდებები** **მომზადებელის** **აზრით** **უნდა** **გავრცელდეს** **ყველა** **პარტიის** **და** **სხვა** **ორგანიზაციების** **საშვალებით** **და** **აგრეთვე** **ფიცის** **ბიჭდოს** **ყველა** **გაზეთებში.**

მაგრამ **მომხსენებელის** **აზრით** **ეს** **არ** **კმარა** **უნდა** **შესდგეს** **შეგნებული** **ჯარის-კაცებისაგან** **წრეები** **რომელნიც** **გაეშურებიან** **სოფლებში** **და** **ამხანაგ** **გაქცეულ** **ჯარის** **კაცებს** **შეიგნებინებენ**, **რომ** **აუცილებლად** **ეროვნული** **ჯარის** **დაუბრუნდენ.** **მოელი** **გუბერნიისათვის** **საჭირო** **იქნება** **100** **შეგნებული** **ჯარის** **კაცი.**

ვასილ **წერეთელს** **წინადადება** **შეაქს**, **რომ** **აუცილებელია** **ამ** **საკითხისათვის** **შეერდეს** **ყველა** **პოლიტიკური** **პარტიები**, **წაეიდ** **ენ** **სოფლად**, **შეკრიბონ** **ფართე** **მასა**, **აუხსნან** **თანამედროვეობა** **მომენტის** **ძმიმე** **მდგომარეობა** **და** **სამშობლოს** **განსაცდელი** **და** **თვით** **ხალხს** **აიძულონ**, **რომ** **დაეჭერი** **ჯარის** **კაცები** **ეროვნულ** **ჯარში** **გამოგზავნონ.**

ამათის **შემდეგ** **კრებას** **გამოაქვს** **ასეთი** **დადგენილება:**

„არჩეულ **იქმნას** **განსაკუთრებული** **კომისია**, **რომელიც** **ჯარის** **გადახალისების** **კითხვას**, **ჯარის** **ეჭერგზე**, **ადგილობრივ** **მუშობას**, **რაც** **უნდა** **შემუშავდეს** **ერთი** **ეკარის** **განშვავლობაში** **და** **წარდგენილ** **საქართველოს** **ეროვნულ** **საბჭოს** **სახელმძღვანელოთ** **და** **ცხოვრებაში** **გასატარებლათ.**

ამ **კომისიაში** **შეიკრენ** **თითო** **წარმომადგენელი** **ქუთაისში** **არსებული** **ყველა** **პოლიტიკური** **პარტიებისა**, **საზხელო** **კავშირისა**, **ქართული** **პოლკებისა**, **საგუბერნიო** **აღმასრულებელი** **კომიტეტისა**, **ქალაქის** **თვით** **მმართველობისა.** **წარმომადგენელი** **ადმინისტრატიისა** **და** **მუშათა** **საბჭოსა.** **სულ** **13** **კაცი.**

ქალაქში **წესიერების** **დაცვა.**

ხანგრძლივი **კამათი** **გამოიწვია** **ქალაქში** **წესიერების** **დაცვის** **კითხვამ.**

როგორც **გამოირკვა** **აქ** **მსროელი** **ქართული** **პოლკის** **ჯარის** **კაცები** **მზად** **არიან** **ყოველთვის** **თვისი** **მსხვერპლი** **მიიტანონ** **დედა** **ქალაქის** **ქუთაისის** **დაცვისა** **თვის.**

მხოლოდ **ამ** **პოლკის** **წარმომადგენელმა** **განაცხადა**, **რომ** **ჩვენ** **უნდა** **გვაყვადეს** **წარმომადგენლები** **ქალაქის** **თვით** **მმართველობაში**, **რომ** **ყოველთვის** **ვიცოდეთ** **რა** **ამოდენა** **ქალაქში**, **როდის** **იქმნება** **ჩვენი** **დახმარება** **საჭირო** **და** **სხვა.**

დასასრულ **კრებამ** **დადგინა:** **,,დაუყონებლივ** **მოხდეს** **მილიციის** **განახლება** **შედგენელ** **იქმნას** **წევიერი** **გვარდია** **ყველა** **პარტიის** **მიერ**, **იარაღალის** **სასტიკათ** **ღვინით** **ვეჭრობა**, **დაიკეტოს** **ქალაქის** **განპირა** **ადგილებში** **არსებული** **სამეკეტნოები** **და** **საერთო** **ყველა** **სასადილოები** **სადაც** **კი** **ღვინით** **ვეჭრობენ.** **მხოლოდ**

3. წერეთლის **წინადადებით** **ქალაქში** **ღვინო** **უნდა** **იყიდებოდეს** **არა** **სასადილოებში** **დასათრობათ** **არამედ** **განსაკუთრებულ** **ადგილებში** **ბარათებით** **ოჯახებში** **სახმარებლათ.**

კიტა **აბაშიძის** **პატივის** **ცემა.**

დასასრულ **თავმჯდომარე** **კრებისა** **დაწყრეთ** **აგონებს**, **რომ** **ს.** **ფედერალისტთა** **პარტიამ** **ამ** **დღეებში** **დაჭკარგა** **საუკეთესო** **წევრი** **და** **ფეხზე** **ადგომით** **პატივი** **ეცემოთ.**

კრება **დაიხურა** **დამის** **11** **საათზე.**

მხედარი.

საქართველოს მეზობელ ქრეგში.

მთიელთა **ავტონომიის** **ტერიტორია**

მთიელთა **კავშირის**[illegible]**ენტრალურმა** **კომ.** **დეკემბრის** **3-ის** **სხდომაზე** **განხილია** **ტერიტორიის** **საკითხი** **და** **დადგინა** **რომ** **გამოცხადებული** **ავტონომია** **ვრცელდება** **მთელ** **დადესტნის** **ოლქის** **ტერიტორიაზე**, **მოიგლია** **6-ს** **ოლქზე** **და** **თერგის** **ოლქის** **ყასანაგაისის** **უბანზე** **და** **აგრეთვე** **სტავროპოლის** **გუბერნიის** **ნაგაიელების** **და** **თურქმენების** **ტერიტორიაზე.**

ზაქათალის **და** **სოხუმის** **ოლქების** **შესახებ** **კომიტეტმა** **დადგინა**, **რომ** **მთიელთა** **მთავრობა** **მათ** **ეროვნულ** **კულტურულ** **და** **პოლიტიკურ** **ხასიათის** **საკითხებზე** **აგრცელებს** **კომპეტენციას.** **რაც** **შეეხება** **ამ** **ოლქებზე** **მთიელთა** **მთავრობის** **სახელმწიფოებრივ** **უფლება** **მოსილობის** **ეხლაე** **სრულიად** **გავრცელებას** **ან** **და** **მათ** **ამიერ-კავკასიის** **დროებითი** **მთავრობის** **კომპეტენციის** **სფერში** **დარჩენა**, **მიეცემოდეს** **ზაქათალის** **და** **აღსანიშნავ** **ეროვნულ** **საბჭოს.**

კომიტეტმა **დადგინა**, **რომ** **მთიელთა** **მთავრობამ**, **როგორც** **უსაზოლოდ**, **ისე** **თვრ** **ეროვნულ**[illegible] **ეროვნულ**[illegible] **ეროვნულ**[illegible]

ული ამ საწყალს, რომ ბამაკი კი ალარსად დაიკარგა. ცხენი შეწუხდა, გახდა და დაიქანცა. მეტი გზა ალარ იყო, უნდა დაგტოვებია თავისი საყვარელი წყალტიტი. დაფარქრდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მოგონდა: — კაკი ბიმ ყოველად შეიძლებელია, მოდი წავალ და შევსთხოვ ძმა, ეგენ მომხედოს და დამიფაროს ამ მტერისაგანო.

სწორედ ასეც მოიქცა. მიეიდა კაკთან, თაყვანი სცა, მოახსენა თავისი გაჭირვება და შეეფიცა დახმარებას. „ადელი სამსახურია, უთხრა კაკმა, იმას მე მოგიმორებ, შენ მხოლოდ მიმიყვანე იქ და მაჩვენე ის მხეკი. ცხენი სიხარულით ცას დაეწია, მიუშვირა ზურგი, შეეკვნა და წაიყვანა. კაკი ამ ცხენით გამოუდგა თხას, მისწვდა და იმდენი სცემა, რომ ცხრა მთას იქით გადაჰკარგა. თხამ მასკენ უკან მოხედვაც ვეღარ გბედა, მაგრამ კაკი კი ცხენიდან ალარ ჩამოსტა, ძალიან ბოეწონა საჯდომად და ნებივრად დასეირნობდა ყოველ მხარეს ამ ცხენით.

გავიდა ხანი, ხეიდეს ცხენი, რომ კაკი მას ალარ უშვებს, დაეჩოქა და მოახსენა: — მხეკისაგან განთავისუფლებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებ; ახლა გამიშვი, გამხადე თავისუფალი, რომ ვინებვერო ჩემს წილკოტში. კაკმა ყურიც არ ათხოვა ცხენის ვედრებას.

ზემოთქი.

კავკასიის ლაშქრის მე-2 ყრილობა.

კავკასიის ლაშქართა მეორე ყრილობა გაიხსნა პარტიული კონსლომით. უმრავლესობით ბოლშევიკები სარგებლობენ და ყოველივე საშუალებით სცდილობენ ამიერ კავკასიის კომისარიატს და ცენტრს სახელი გუტეხონ. განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის საკითხმა გამოიწვია ერთი აურზაური:

ჩრდილო კავკასიის საკითხი

დეკემბრის 13 სხდომა.

ყრილობას ხსნის დროებითი თავმჯდომარე შერკადინი. დღიურ საკითხთა შორის პირველ ადგილას ჩრდილო კავკასიის საკითხია.

თეგრეს ოლქის წარმომადგენელი ბ-ნი ბაბრტინი მოკლე მოხსენების შემდეგ ჯერ სკენან, რომ მომენტის სირთულე გამოიწვია მოულოდნელმა პროვოკაციამ. რომელსაც სოციდან ყარაულოვის ლაქეიანი.

კომპლინსკი. ამიერ-კავკასიის ცენტრი რუსების წინააღმდეგ მოქმედებს, კარაულოვის კომპანიის ბეიდრო კავშირი აქვს დონსკოისთან, პრეეფალ კისთან და ამიერ-კავკასიის ცენტრთან. ამიერ-კავკასიის ცენტრი ჩრდილო-კავკასიას იარაღს უგზავნის, სამაგეროდ იქიდან ამიერ-კავკასიას პურს უგზავნიან. ამ რიგად, ხელს უწყობენ რუსი ჯარისაკაცების იარაღის აყრას, დღევანდელი ყრილობის მიზეა ეობა, ერთხელ და სამუდამოდ ანგარიში მოსთხოვოს კონტრ-რევოლუციონურ ამიერ-კავკასიის ცენტრს.

კოზდანოვი ბრალს სდებს ნაციონალისტობაში ტორნანოს, ვინაიდან მან არ გაგზავნა ჯარი ჩრდილო კავკასიის დასაწყნარებლად. ყველა რუსების წინააღმდეგ მოქმედებს. მე მხოლოდ ერთი დამჩენია, ეუთხრა ძმებ რუს ჯარის კაცებს:

— რუსო ჯარის კაცებო! დასტოვეთ ამიერ-კავკასია. დღე ქართველები მარტოკა დარჩნენ.

ევ. გეგეჭკორი: ამხანაგებო, აქ სახალხო სისხლით ვეკრობენ ჩრდილო-კავკასიის საკითხს, პოლიტიკური მნიშვნელობა მისცეს. ამას სჩადიან ის „ბატონები", რომელნიც ყველა ეროვნებებს ებრძვიან. მათ ამართეს ლახვარი უკრაინის წინააღმდეგ... მაგრამ ჩვენ ვსთქვათ — გაუმარჯოს უკრაინას! (მხურვალე ტაში).

კამათი ამ საგანზე დიდხანს ვაგრძელდა. ორატორები ცხარედ ლაპარაკობდნენ. სხდომა ღამის 4 საათზე დაიხურა.

დეკემბრის 15-ს სხდომა.

პრეზიდიუმის არჩევნები.

პრეზიდიუმის არჩევნებმა დიდი აალაფოთი გამოიწვია. ბოლშევიკებმა დაქტორობა დაიწყეს და თავიანთ სურვილის თანახმად აირჩიეს პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნნენ: ბოლშევიკებიდან: ქვოთარაძე, ანდიეშკი, ბალიკინი, ლომბოროვი, ოკუჯავა, ალეფლაქე და კოლოსოვიანეი.

მენშევიკებიდან — მალეხოროი, ს.-რევოლუციონერებიდან ჩემოდანოვი, ალტმანი, კეიტნიკეი. უკრაინელებიდან სოლბეს მენკო. დაშნაკელებიდან — ვასპარიანი. ყაზახებიდან ბეკოროკეი.

პრეზიდიუმის არჩევნის შემდეგ არსებულ ჩქარა დელეგაცია, რომელიც ვიმეორებს ჩრდილო კავკასიაში დასვლის ეთარეულს გამოარკვევს. დელეგაციაში შედან: ბოლშევიკებიდან ეკაკია, ეროვალა შვილი, სტუროკი, ნეკიოვეკი, ლომბოროვი, კოლნსკეი, ნოსოვეკი, კაზაკოვი, კისელევი, მენშევიკებიდან ბაბოვი, რუბენშტეინი, გიბკეტი, ს.-რევოლუციონერებიდან ალიანდარიშვილი, ლიუბეკი. დაშნაკელებიდან სარკისიანი, ბაბაიანიდან ბალდინი, სამკო, ვეოდი.

დეგულეგა

სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო სამინისტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების სადგილ-მამულო კომიტეტისა თვის გადაეცა შემ ს ხსენებ.

(დასასრული იხილე „ჩვენი ქვეყანა" № 206).

9. კითხვის განხილვა იმის შესახებ, თუ რამდენი მიწა უნდა გადაეცეს სადგილ მამულო კომიტეტებს, რამდენი იქნეს დატოვებული მემამულეთის ხელში, რა მდენი უნდა მიეცეს დასაბუნებელთათ მიწის მუშას და აგრეთვე რამდენი მიწა უნდა იქნეს დატოვებული გაუნაწილებელი და სახოგადოებრივ მეურნეობის საჭიროებ ლათ და რამდენი გადაეცეს ერობებს — სამაზროს, საგუბერნიოს და ამიერ კავკასიის, როცა ერობა შემოღებული იქნება, ენიჭება საგანგებო და საკუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტებს. სამოლოოთ გადაწყვეტა ეკ ენდობა ცენტრალურ მთავრობას.

10. ამ დებულების განმარტება და აგრეთვე იმის განსაზღვრა, თუ რა წესით და თანდათანობით უნდა იქნეს გადაცემული პირველ და მეორე მუხლში ნაჩვენები მიწები, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი ამ საკუთრებისა საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყსტიგების შესახებ, რომლის შესანახი ადასრი უნდა გადაიდოს საგანაპირო ფონდში ჩარიცხული მიწების შემოსავლიდან და აგრეთვე ყოფილ დროებით ვალდებულთა სანადგილო გადასახადებ. ? მოსპობა, სანამ ამ საკითხს ... ?ეტ?ნ?ბელ?ა?ერება გადასწყვეტდეს, მოხდება ცალკე ინსტრუქციათ.

11. საზოგადო ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება ამ დებულების 1—10 მუხლებში აღნიშნულ ზომების სისრულეში მოსაყვანთან ევალება ამიერ კავკასიის საგანაპირო სადგილ მამულო კომიტეტს და უმ-ღლეს მთავრობის ორგანოს.

ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ე. პ. გეგეჭკორი.**

მუნიციპალიტეტების სამინისტროს საქმეთა კომისარი **ა. ბ. ნერეჩიევი.**

ამ დებულებას შემდეგი განმარტებანი წერილი აქვს წამძღვარებული: „რუსეთის დიდმა რევოლუციამ ძირიან-ფესვიანთ შეარყია რუსეთის სახელმწიფოს საფუძველი. ამასთან ერთად, რევოლუციამ გადაჭრით მოითხოვა შენობის ძაღლი, დამპალი ნაწილები შეცვლილიყო ახლით, ეკონომიკა, — შეცვლილიყო ღღმდე ორიენტალური საადგილ-მამულო წესები.

მიწის მუშის შეგნებაში ღრმათ აქვს გამჯდარი ფესვები იმ აზრს, რომ მიწა უფლება მას აქვს, რომ რევოლუციის შემდეგ საადგილ-მამულო ეამოკიდებულებანი ითვლებიან მოსპობილად და არა საეალდებულოთ.

რევოლუციის მიერ შექმნილ კონფლიკტში, რაც გამოიხატება ფორმალურად გაუმებელ უფლებასა და ფაქტიურად არსებულ, მეხოვრებთა უფლებრივ შეზღუდვებს ზორის და აგრეთვე ისეთი წესების ეარსებობა, რომელსაც შეეძლო ამ კონფლიკტის ეროვნულ კალამატრი მოთავსება რაც მიწის მეშეს დახმარებას გაუწევდა ეს გარდამავალი ხანა გადაეტანა: ყოველგან ჰქონდა და აქვს ადგილი მეხეურებთა თვითნება გამოსვლის, რაკ გამოწვევილია ხალხის სტიქიური მისწრაფებით დაკმაყოფილოს ძიწით თავისი აუცილებელი მოთხოვნილება. განსაკუთრებით ეს ბოლოდროს თვალსაჩინოა იმ ადგილებში, სადაც უმეწილოდ ან ძალიან მიწის სიმცირეა. ბევრ ადგილებში მიწები ფაქტიურად მიწის მუშების ხელშია, იურიდიულთ კი მემამულეებს ამ მამულებთან არავითარი საქმე ალარ აქვთ.

ამ გვარი, სტიქიურად დატაცების უფლებას მიწაზე აუცილებლათ თან სდევს ანარქია, რომელიც აფერხებს საადგილ მამულო ძირითად რეფორმის ეხოვრებაში გატარებას.

არავის არ შეუძლია უარყოს, რომ სამოლოოთ ახალი საადგილ მამულო წესების დაწესება ეკუთვნის ერთად ერთ სრულ უფლებიან ხალხის მეფეი ქვეყნისა — მთელი ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას. და მეხოვრებლებმაც უნდა მოთმინებით დაუცადონ დამფუძნებელ კრებას, რომელიც ვამოსცემს სრულ კანონს მიწის შესახებ, მაგრამ ის, რაც უკვე მომეფიდა, რაც რამდენიმეთ ეხოვრებაში ტარდება, რაც ყოველ ეშეს გარეშეა, დამტაცებელი ინნენ დამფუძნებელი კრების მიერ, — უნდა ნაწილობრივად მინეც განსარეკეთებელ იქნას.

რათა შეტანილ იქნას ერთნაირი წესრიგი რევოლუციონერი ხალხის ახალ უფლებრივ შემოქმედებაში, რომელი ხალხიკ პერსა თვისსა ჰპოულობს მიწაზე შრომაში; რათა თავიდან აცილებულ იქნას უსამართლო და უთანასწორო განაწილება დანატაც მიწებისა; რათა სოფლის ცხოვრება ძოთავებულ იქნას მიზან შეწონილ ფარგლებში და ამით ამიერ კავკასიის მხარე დაცულ იქნას სამშობლოს და რევოლუციის „საზიანო შეეოლისა და ეკონეფლიბისაგან; რათა შექმნილ იქნას ამიერ კავკასიაში საადგილ მამულო ისეთი პირობები, რაიც გადადგილებს ცხოვრებაში გატარებულ იქნას მოელი თავისი სიგრძე-სიგანით საადგილ-მამულო რეფორმა, — ამიერ კავკასიის კომისარიატი სცემს ამ დებულებას სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამინისტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მემამულეთა მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებისთვის გადაეცემის შესახებ.

ამ დებულების გამოცემის შემდეგ გამოიცემა აქტი ტყეებს, მოსარწყავი წყლების შესახებ და აგრეთვე სხვ აქტები, რომელთაც კავშირი ექნებათ მიწის საკითხთან.

ამიერ კავკასიის მთავრობა მზნეთ გაატარებს ცხოვრებაში ამ ზომას და ეურნობა რა ის ხალხის მსსნის უფლებრივ შეგნებას და იხელმძღვანელებს სახალ-ზომეურნეობის ინტერესებით".

სახალხო შკოლების მასწავლაგლეთა საუურადღებოთ.

ამით ვაუწყებ სახალხო შკოლების მასწავლებლებს, თუ რა ზომებია მიღებული სოფლის სამოსწავლო და ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ მასწავლებლთა ნიკვთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: 1) როგორც სამინისტროს, ისე ყოფილი სამრევლო შკოლების მასწავლებლების ჯამაგირი პირველ ოკტომბრიდან გადიდებულია 210 მანეთამდის. 120 მანეთი ძირითადი ჯამაგირი 90 მან. სხვა დასხვა სამხელოო დამატებები. ამ დამატებითი ჯამაგირის მისაღებათ საჭიროა ოლქში გავგზავნოთ საჭირო ცნობები რასაც ჩვენ სწრაფ ეკრანებად ფ, როცა დავამზადებთ, საგანგებოო გავგზავნით ენობას, რომ ამ ფულების მიღება არ დაგვიანდეს, ასე რომ სრული იმედი გვაქვს, თუ ამ თვეში არა, იანვრის პირველ რიცხვებში მიიღებთ იმ დანაკლისს, რომელიც თქვენ გეჭიგებთ ამ ს�ში თვის განმავლობაში.

2) ერთ დროული 300 მანეთიანი დახმარება, რომელიც დაპირებული ეგქონდა სამოსწავლო კომისარიატიან, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უარყო, რადგანაც მომატებული ჯამაგირის პირველი ოკტომბრიდან დაამტკიცა.

3) ჯამაგირის დანაკლისს ყოფილი სამრევლო, და სამინისტრო შკოლების მასწავლებელთა სეკტემბრისს და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების დამატებითი ჯამაგირებს ახალი ტარიფის ძალით ივლისიდან ოკტომბრამდე მოკლე ხანში მიიღეთ. — ოკტომბრიდან კი ახალი ჯამაგირები ითვლება.

4) მესამე და მეოთხე რაიონის ყოფილი სამრევლო შკოლების მასწავლებლების ამა წლის დღიურების შესახებ ცნობა იყო სინოდიდან. რომ კრედიტები გამოგზავნილია, მაგრამ ჯერეკ არ მიგვიღია. კომისარიატშიც არ არის არავითარი ცნობა მიღებულია ზომები, რომ გამოვარკვიოთ ამ კრედიტების ბედი. ამასთანავე ვგზავნი მუამდგომლობას, რომ კომისარიატმა გამოხმაოს საშვალება და დაკმაყოფილოს დღიურით მასწავლებლები.

5) რაც შეეხება დღიურების გავრცელებას 1 და 2 რაიონში (ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები) ამის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატში არავითარი ცნობები არ არის. არის დებეშა პეტროგრადიდან ქუთაისის სახალხონო პალატაში, რომ დღიურები გავრცელებულია, მაგრამ გამოიკვეველია ეხება ეს მარტო ქალაქ. ქუთაისს, თუ სხვა მაზრებსაც გავრცელდება თუ არა ეს სახალხო მასწავლებლებზე, ისიც არავიცით რადგანაც შეიძლება, რომ დღიურები შედიოდეს 90 მანეთში, რომელიც ემატება ძირითად ჯამაგირს. ყოველ შემთხვევაში ვგზავნით შუამდგომლობას, რომ დღიურები გავრცელებული იყო მასწავლებლებზე.

6) რაც შეეხება 400 მანეთიან ერთ დროულ დამხმარებას, რომელიც უნდა მიეცეს სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებს, ჯერ არ არის გამორკვეული, რომელი დარგის მოსამსახურეებს მიეცემა ეს დახმარება. თბილისის კანცელარია კავშირის თავმჯდომარის სიტყვით რომელიც იღებდა მონაწილეობას კომისარიატის სხდომაზედ, როცა ეს საკითხი წყდებოდა, რკინის გზის და ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეები ვერ მიიღებენ დახმარებას, რადგანაც მათ სხვა სახით ელოდათ დამატებათ მაგალ. მასწავლებლებს 1 ოკტომბრიდან უდიდებენ ჯამაგირსო და სხვ, რამაც გამოიწვია ჩვენის მხრით შესაფერი პროტესტი და თან შუამდგომლობა აღვაძარი, რომ ეს დახმარება გავრცელდეს მასწავლებლებზედ, რის შედეგს ალბათ ამ დღეებში გავიგებთ.

გაცნობებთ რა ყველა ამას, გთხოვთ ცოტა კიდევ მოითმენოთ, სადაც ამდენი მოგითმენინთ. ჩვენ კი ყოველივე ზომებს მივიღებთ, რომ თუ მანამდის არა იანვრის პირველ რიცხვებში მაინც მოგაწოდოთ დამატებითი ჯამაგირი.

ამხანაგური სალამით სახალხო - შკოლების დირიგტორი **ნ. მგელაძე.**

შემოწირულება.

მოკალიქე რედაქტორო!

უმორჩილესად ვთხოვთ საშეალება მოგვცეთ თქვენი გაზეთის შეწყნარებით მადლობა გამოუცხადოთ ის პირთა და დაწესებულებებს, რომელთაც ეკეთეს ინებეს და ქობულეთის რაიონში სოფ. წყავროკაში ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებისთვის ახალ დაარსებულ სკოლის სასარგებლოთ შემოსწირეს შემდეგი:

ქ. ფოთში.

1. ფოთ. ქალთა სახოგად. წრემ — 50 მან. 2. ნ. ანდუშელიშვილმა — 100 მან. 3. რ. ს.-დ. ბ. ბ. კომიტ. ერთდროულათ — 50 მან. 4. საქ. ეროვ. დ. ბ. კომიტ. ერთდროულ. — 100 მან. 5. საქ. ს.-დემ. სარ. ბ. კომიტ. 45 მან. 6. გიორგი სალბატარაშვილმა — 36 მან. 7. ივანე ბოლოქვაძემ — 30 მან.

ზემოთ მოხსენებულ სკოლის სასარგებლოთ მეიღეთ ქალაქებიდან შემდეგი:

1. ქ. ფოთიდან 931 მან. 2. ქ. ახალსენაკიდგან — 420 მან. 3. ქ. სამტრედიიდგან — 518 მან. 4. დაბა ობაშიდგან — 190 მან.

მასთან ერთად ეს წარავთ განუსაზღვრელ მადლობას, ვინც გამოიღო ჩვენი სკოლის სასარგებლოთ ზევით ჩამოთვლილი თანხა რადგან ზემოთ დასახელებულ სკოლის სასარგებლოთ შემომწირველთა რიცხვი ბევრია და ზოგიერთების სახელი და გვარის ამოკითხვაც ძნელი გაგვჭირდა, მაგ. ი სახელი და გვარის გამოცხადება გაბედეთ შეუძლებელი შეიქმნა. ამისათვის დიდს მორიდებით ვთხოვ ... ?ეტ?ნ?ბ?ა?ერ?ა?ა?ა